ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2 ☎ 577 44 60 40

N 31
30/03/2018

31-08-4-201803301709

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ ხელოვნების სასახლისთვის ნინო რამიშვილის სახელის მინიჭების დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტების, „მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის N239 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე

საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო მიზანშეწონილად მიიჩნევს ა(ა)ი.პ. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის დაქვემდებარებაში არსებულ ხელოვნების სასახლისთვის ნინო რამიშვილის სახელის მინიჭება მოხდეს გამონაკლისის სახით, მისი გარდაცვალებიდან 20 წლის გასვლამდე.

მუხლი 2.

განკარგულების გასაჩივრება შეიძლება 1 თვის ვადაში ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე: ჭავჭავაძის ქ. N4.

მუხლი 3.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა